Sun Petroleum Georgia LLC
Official Distributor of Gulf Oil International in Georgia
34 Chavchavadze Ave. Tbilisi 0179, Georgia
Tel: +995 322 49 64 44 Fax: +995 322 49 64 40

სან პეტროლიუმ ჯორჯია
გალფ ოილ ინტერნეშენალის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
ჭავჭავაძის გამზ. 34, თბილისი 0179, საქართველო
ტელ: +995 322 49 64 44 ფაქსი: +99 322 49 64 40

**„20 000 პრიზი გალფისგან"**

**წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები [რეგლამენტი]**

**შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" [„გალფი"]**

იურიდიული მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 34, მე-6 სართ., თბილისი, საქართველო;

საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136;

რეგისტრირებული ელ-ფოსტა: official@gulf-ge.com.

**კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) ჩამონათვალი და აღწერა:**

- ნავთობპროდუქტები [საავტომობილო საწვავი]: ბენზინი და დიზელი;
- ნავთობპროდუქტების საცალო რეალიზაცია, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" მფლობელობაში არსებული, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ ავტო-გასამართ სადგურებზე [შემდგომში: აგს].

**გათამაშების მიზეზი:** წამახალისებელი გათამაშების მოწყობა განაპირობა „გალფის" პროდუქტების შესაძენად მომხმარებლებისათვის დამატებითი მოტივაციის შექმნის საჭიროებამ; წამახალისებელი გათამაშების მოწყობა გაზრდის „გალფის" პროდუქციის რეალიზაციას;

**გათამაშების მიზანი:** „გალფის" საავტომობილო საწვავის, სწრაფად და ეფექტიანად რეალიზაცია, ასევე „გალფის" ერთგული/ლოიალური მომხმარებლისათვის დამატებითი წამახალისებელი მუხტის დანერგვა.

**გათამაშების ბილეთის მიღებისათვის აუცილებელი პირობა:**

გათამაშებაში მონაწილეობისათვის - გათამაშების მინიმუმ ერთი ბილეთის [გადასაფხეკი ბილეთი] მისაღებად, სავალდებულოა, რომ მომხმარებელი იყოს „გალფ კლუბის" წევრი, ფლობდეს „გალფ კლუბის" პლასტიკურ ბარათს და „გალფ კლუბის" ბარათის გამოყენებით (გატარებით), 01.12.2019 წლიდან 29.02.2020 წლის ჩათვლით, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, ნაღდი ან/და ნებისმიერი ბანკის პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებით, შეიძინოს მინიმუმ 30 (ოცდაათი) ლარის ღირებულების, ნებისმიერი ტიპის/მარკის საწვავი [ბენზინი, დიზელი, გაზი].

**გათამაშების ბილეთების რაოდენობა:** 1 000 000 [ერთი მილიონი] ცალი ბილეთი.

**გათამაშების ბილეთების ნუმერაცია:** 000 0001-დან 1 000 000 - ჩათვლით.

**გათამაშების პრინციპი და დეტალური აღწერილობა:**

1.1. „გალფ კლუბის" წევრი, რომელიც 2019 წლის 01 დეკემბრიდან, 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით, „გალფ კლუბის" ბარათის გამოყენებით (გატარებით), ნაღდი ან/და ნებისმიერი ბანკის პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებით, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე შეიძენს, მინიმუმ 30 (ოცდაათი) ლარის, ღირებულების ნებისმიერი ტიპის/მარკის საწვავს [ბენზინი, დიზელი, გაზი], მიიღებს გათამაშების 1 (ერთი) ცალ გადასაფხეკ ბილეთს.

1.2. გათამაშების 1 (ერთი) ცალი ბილეთი გაიცემა 30 (ოცდაათი) ლარის ღირებულების ნებისმიერი ტიპის/მარკის საწვავის [ბენზინი, დიზელი, გაზი] ყოველი ერთი და მომდევნო შეძენისას, მაგრამ, ერთჯერადად (საწვავის ერთ ჯერზე შესყიდვისას) არაუმეტეს 4 (ოთხი) ბილეთისა, მიუხედავად შესყიდვის ჯამური ღირებულებისა.

1.3. გათამაშების ბილეთზე, სპეციალური, გადასაფხეკი საფარის ქვეშ, მითითებული იქნება, ან;

**ა) 10 ლარიანი საწვავის ვაუჩერი -**

ამ შემთხვევაში, პრიზის სახით, გაიცემა 10 (ათი) ლარის, ღირებულების/ნომინალის საწვავის ვაუჩერი. სათანადო ვაუჩერის, მოგებულზე გაცემა მოხდება, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ

სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში]. საწვავის სასურველ ტიპს/მარკას [ბენზინი, დიზელი, გაზი] მოგებული/მომხმარებელი ირჩევს თვითონ, პრიზის ფაქტობრივად მიღებისას [საწვავის ავტომობილში ჩასხმისას]. ვაუჩერის განაღდებით, მოგებული პრიზის [10 ლარის ღირებულების საწვავი] მიღება, კერძოდ საწვავის ავტომობილში ჩასხმა, მოგებულ პირს შეეძლება, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე.

ბ) **20 ლარიანი საწვავის ვაუჩერი** -
ამ შემთხვევაში, პრიზის სახით, გაიცემა 20 (ოცი) ლარის, ღირებულების/ნომინალის საწვავის ვაუჩერი. სათანადო ვაუჩერის, მოგებულზე გაცემა მოხდება, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში]. საწვავის სასურველ ტიპს/მარკას [ბენზინი, დიზელი, გაზი] მოგებული/მომხმარებელი ირჩევს თვითონ, პრიზის ფაქტობრივად მიღებისას [საწვავის ავტომობილში ჩასხმისას]. ვაუჩერის განაღდებით, მოგებული პრიზის [20 ლარის ღირებულების საწვავი] მიღება, კერძოდ საწვავის ავტომობილში ჩასხმა, მოგებულ პირს შეეძლება, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე.

გ) **50 ლარიანი საწვავის ვაუჩერი** -
ამ შემთხვევაში, პრიზის სახით, გაიცემა 50 (ორმოცდაათი) ლარის, ღირებულების/ნომინალის საწვავის ვაუჩერი. სათანადო ვაუჩერის, მოგებულზე გაცემა მოხდება, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში]. საწვავის სასურველ ტიპს/მარკას [ბენზინი, დიზელი, გაზი] მოგებული/მომხმარებელი ირჩევს თვითონ, პრიზის ფაქტობრივად მიღებისას [საწვავის ავტომობილში ჩასხმისას]. ვაუჩერის განაღდებით, მოგებული პრიზის [50 ლარის ღირებულების საწვავი] მიღება, კერძოდ საწვავის ავტომობილში ჩასხმა, მოგებულ პირს შეეძლება, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე.

დ) IPhone 11 -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა „Apple"-ის მიერ წარმოებული 'სმარტფონი' - „Iphone 11". პრიზი გაიცემა „გალფის" სათაო ოფისში, მდებარე; ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34, სართ 6.

ე) Marshall-ის **დინამიკი** -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა „Marshall"-ის მიერ წარმოებული დინამიკი - „MARSHALL Stanmore II" ბლუთუზ დინამიკი. პრიზი გაიცემა „გალფის" სათაო ოფისში, მდებარე; ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34, სართ 6.

ვ) Marshall-ის **ყურსასმენი** -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა „Marshall"-ის მიერ წარმოებული ყურსასმენი - Marshall Major III. პრიზი გაიცემა „გალფის" სათაო ოფისში, მდებარე; ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34, სართ 6.

ზ) **ტელევიზორი** -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა „Samsung„-ის მიერ წარმოებული, 109 სმ-იანი „Smart" ფუნქციის მქონე ტელევიზორი. პრიზი გაიცემა „გალფის" სათაო ოფისში, მდებარე; ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34, სართ 6.

თ) HOT DOG menu -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელი, პრიზის სახით, მიიღებს, ერთი ცალი „HOT DOG" მენიუს შტრიხ კოდს, რომელიც დატანილი იქნება, უკვე გადაფხეკილი და მოგებული ბილეთის ქვეშ. აღნიშნული შტრიხ კოდის გამოყენება/გატარებას, გამარჯვებული შეძლებს, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში]. შტრიხკოდის გამოყენების/გატარების შემდეგ, მომხმარებელი მიიღებს „HOT DOG menu"-ს რომელშიც შედის, ერთი ცალი HOT DOG-ი [კლასიკური სოსისით] და PEPSI.

ი) GULF ბალიში -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა, ერთი ცალი, GULF-ის ბრენდირებული, სამოგზაურო ბალიში. გამარჯვებული პრიზის მიღებას შეძლებს, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში].

კ) GULF ყურსასმენი -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა, ერთი ცალი, GULF-ის ბრენდირებული ყურსასმენი. გამარჯვებული პრიზის მიღებას შეძლებს, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში].

ლ) GULF DRINK -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა, ერთი ცალი, GULF-ის ბრენდირებული ენერგეტიკული სასმელი „GULF DRINK"-ი. გამარჯვებული პრიზის მიღებას შეძლებს, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში].

მ) ყავა „ამერიკანო" -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა, ერთი ფინჯანი ყავა „ამერიკანო"-ს შტრიხ კოდი, რომელიც დატანილი იქნება, უკვე გადაფხეკილი და მოგებული ბილეთის ქვეშ. აღნიშნული შტრიხ კოდის გამოყენება/გატარებას, გამარჯვებული შეძლებს, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში]. შტრიხკოდის გამოყენების/გატარების შემდეგ, მომხმარებელი მიიღებს, ერთი ფინჯან ყავა „ამერიკანო"-ს.

ნ) 500 ქულა გალფისგან -
ამ შემთხვევაში, მომხმარებელს, პრიზის სახით, გადაეცემა, „გალფის" 500 ქულა [ნომინალი 5 ლარისა]. მოგებული 500 ქულა, გამარჯვებულს დაერიცხება/აესახება მის „გალფ კლუბის" ბარათზე, მოგებული ბილეთის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული დღის ვადაში. გამარჯვებული პრიზის, კერძოდ დარიცხული 500 ქულის გამოყენებას/განაღდებას შეძლებს, მხოლოდ, „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ აგს(ებ)-ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში], ასევე „გალფის" აგს-ებზე, საავტომობილო საწვავის შესაძენად.

1.4. წამახალისებელი გათამაშება დაიწყება, 2019 წლის 01 დეკემბერს, 00:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 29 თებერვალს, 00:00 საათზე.

1.5. საპრიზო ფონდი / პრიზები გაიცემა, მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ;

1.5.1. ამ რეგლამენტის 1.3. ა), ბ), გ), თ), ი), კ), ლ), მ), ნ) გათვალისწინებული მოგებული ბილეთ(ებ)ი წარმოდგენილი იქნება „გალფის" სასაქონლო ნიშნით ბრენიდრებულ აგს-(ებ)ზე, მდებარე „გალფ სთორი"-ს სავაჭრო ობიექტ(ებ)ში [მაღაზიაში], 1.11. პუნქტში მითითებულ/განსაზღვრულ ვადაში.

1.5.2. ამ რეგლამენტის 1.3. დ), ე), ვ), ზ) გათვალისწინებული მოგებული ბილეთ(ებ)ი წარმოდგენილი იქნება „გალფის" სათაო ოფისში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34. სართ. 6, 1.11. პუნქტში მითითებულ/განსაზღვრულ ვადაში.

1.6. ამ რეგლამენტის, წინა 1.5. პუნქტით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად, მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს „გალფ კლუბის" პლასტიკური ბარათი და მოგებული ბილეთი.

1.7. ამ რეგლამენტის წინა 1.5. და 1.6. პუნქტებით დადგენილი წესების / ვადების დარღვევის შემთხვევაში, მოგებული ბილეთების წარმოდგენის მიუხედავად, საპრიზო ფონდი / პრიზები არ გაიცემა. გამოვლენილ გამარჯვებულებს მოგებული პრიზის შესაბამისი ფულადი თანხა არ მიეცემათ. ორგანიზატორი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება რომელიმე პრიზ(ებ)ის გათამაშება / არ ამოიწურება საპრიზო ფონდი.

1.8. აღნიშნული გათამაშებისა და მისი წესების შესახებ ინფორმაცია, მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომი იქნება: რადიო ეთერის მეშვეობით, კერძოდ, რადიოებიდან: „ფორტუნა პლუსი", „არ დაიდარდო", „მაესტრო", „უცნობი", აგრეთვე, განთავსდება, „გალფის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე - Gulf.ge და Facebook გვერდზე.

1.9. გათამაშება ჩატარდება მთელი საქართველოს მასშტაბით [გათამაშებაში მონაწილეობის უფლება].

1.10. აუცილებელი პირობა: მომხმარებელმა შესაბამისი წესით უნდა გაატაროს „გალფ კლუბის" ბარათი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებს გათამაშების ბილეთს;

1.11. მოგებების/პრიზ(ებ)ის გაცემის საერთო ვადაა, გათამაშებიდან 30 [ოცდაათი] კალენდარული დღე. მოგება/პრიზი გაიცემა, მომგებიანი ბილეთისა და „გალფ კლუბის" ბარათის წარდგენიდან არა უგვიანეს 6 [ექვსი] დღისა.

1.12. პრეტენზიის განხილვის ვადაა 6 (ექვსი) კალენდარული დღე, ყოველი კონკრეტული გამარჯვებულის გამოვლენიდან.

1.13. გათამაშების მოგებათა ოფიციალური ცხრილი, მოგებული ბილეთების ნომრების მითითებით, განთავსდება/გამოქვეყნდება, „გალფის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე - Gulf.ge, გათამაშებიდან არა უგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღეში.

1.14. გათამაშების დაწყებამდე, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორის ბრძანებით, იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საპრიზო ფონდის გათამაშებას ამ რეგლამენტის დაცვით და მისი პირობების შესაბამისად, მათ შორის, განიხილავს პრეტენზიებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პრიზების რაოდენობა:

- „10 ლარიანი საწვავის ვაუჩერი" - 3000 (სამი ათასი) ერთეული.
- „20 ლარიანი საწვავის ვაუჩერი - 1500 (ათას ხუთასი) ერთეული.
- „50 ლარიანი საწვავის ვაუჩერი" - 500 (ხუთასი) ერთეული.
- „IPhone 11" – 12 (თორმეტი) ცალი.
- „Marshall-ის დინამიკი" - 12 (თორმეტი) ცალი.
- „Marshall-ის ყურსასმენი" - 12 (თორმეტი) ცალი.
- „ტელევიზორი" - 12 (თორმეტი) ცალი.
- „HOT DOG menu" – 3000 (სამი ათასი) ცალი.
- „GULF ბალიში" - 1500 (ათას ხუთასი) ცალი.
- „GULF ყურსასმენი" - 1500 (ათას ხუთასი) ცალი.
- „GULF DRINK" - 1500 (ათას ხუთასი) ცალი.
- „ყავა ამერიკანო" - 3452 (სამი ათას ოთხას ორმოცდათორმეტი) ცალი ფინჯანი.
- „500 ქულა გალფისგან" - 4000 (ოთხი ათასი) ერთეული.

**პრიზების ჯამური რაოდენობა - 20 000 [ოცი ათასი] ერთეული პრიზი.**

საპრიზო ფონდი:

- ერთი მოგებული პრიზის „10 ლარიანი საწვავის ვაუჩერი" ღირებულება შეადგენს - 10 [ათი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 30 000 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „20 ლარიანი საწვავის ვაუჩერი" ღირებულება შეადგენს - 20 [ოცი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 30 000 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „50 ლარიანი საწვავის ვაუჩერი" ღირებულება შეადგენს - 50 [ორმოცდაათი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 25 000 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „IPhone 11" ღირებულება შეადგენს - 2830 [ორი ათას რვაასოცდაათი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 33 960 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „Marshall-ის დინამიკი" ღირებულება შეადგენს - 969 [ცხრაას სამოცდა ცხრა] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 11 628 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „Marshall-ის ყურსასმენი" ღირებულება შეადგენს - 309 [სამას ცხრა] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 3 708 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „ტელევიზორი" ღირებულება შეადგენს - 1200 [ათას ორასი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 14 400 ლარი]:
- ერთი მოგებული პრიზის „HOT DOG menu" ღირებულება შეადგენს - 3.37 [სამი ლარი და 37 თეთრი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 10 110 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „GULF ბალიში" ღირებულება შეადგენს - 5.68 [ხუთი ლარი და 68 თეთრი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 8 520 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „GULF ყურსასმენი" ღირებულება შეადგენს - 4.20 [ოთხი ლარი და 20 თეთრი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 6 300 ლარი];

- ერთი მოგებული პრიზის „GULF DRINK“ ღირებულება შეადგენს - 1.57 [ერთი ლარი და 57 თეთრი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 2 355 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „ყავა ამერიკანოს“ ღირებულება შეადგენს - 1.25 [ერთი ლარი და 25 თეთრი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 4 315 ლარი];
- ერთი მოგებული პრიზის „500 ქულა გალფისგან“ ღირებულება შეადგენს 5 [ხუთი] ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე [ჯამში - 20 000 ლარი];

**საპრიზო ფონდის ჯამური ღირებულება - 250 370 (ორას ორმოცდაათი ათას სამას სამოცდათაათი) ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.**

გიორგი დევაძე

დირექტორი

SUN PETROLEUM GEORGIA 404391136